



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-176

22/03/2018

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ახალი, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „მესტიაჭალა 1,2“-ს მშენებლობის და არსებული ეგზ „იფარი-მესტია“-ს 0,5 კილომეტრამდე სიგრძის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4. ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ამ ბრძანების დანართში მოცემული დასაბუთების საფუძველზე მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს ახალი, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „მესტიაჭალა 1,2“-ს მშენებლობის და არსებული ეგზ „იფარი-მესტია“-ს 0,5 კილომეტრამდე სიგრძის მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტი დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი